

# ლელო

№ 153  
(5183)

1974წ.

4 აპრილი  
კვირა.

ფასი 3 ლა.

საპარტიო-სსრ მინისტრთა სახელმწიფო არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური სახელოსნო

გაზეთი გასული  
1984 წლის  
18 აპრილიდან



ეროვნული  
გიგანტობრუნა



გეიმლავა ბევრმა არც კი იცოდეს, რომ საქართველოში რამდენიმე მსოფლიო რეკორდსმენი გვეყავს საბარათო სპორტში. ამ ფაქტს ურატებზე, რომლებიც ამას წინათ გამართული რესპუბლიკური ჩემპიონატის დროსა გადაღებული, სწორედ მსოფლიოს რეკორდსმენები არიან აღბეჭდილი. მათ ამ შეჯიბრებაში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს.

## სსრ კავშირის ჩემპიონ-74

● **გაინაგინი**, 2 აგვისტო. დამთავრდა ვერძის იუნიატორთა ჩემპიონატი ვაგდის ჩოგბურთში. ფფრისი ასაკის გოგონათა (17 წლამდე) შეჯიბრების ფინალში სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელშიც გამოდიოდნენ ერევნელი ვ. ანტონიანი, სვერდლოვსკელი ტ. ფერდმანი და პიატოგორსკელი ნ. მემეიკოვა, ანგარიშით 3:1 დამარცხა იუგოსლავიელი თანატოლები. საბჭოთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა, აგრეთვე, უმცროსი ასაკის გოგონათა (14 წელი) ფინალური შეჯიბრება უნგრეთის ნაკრებთან — 3:2.

● **რიმ-დე-შანშირი**, 2 აგვისტო. ბრაზილიის ჩემპიონი გახდა „ვასკო და გამას“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც „მარაჟანას“ სტადიონზე ბოლო მატჩში დამარცხა ბელუ-ორიზონტის „კრუსეირის“ — 2:1. „ვასკო და გამა“ და II ადგილზე გასული „კრუსეირა“ დიდაც ამ ქვეყნის სახელს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონათის თასის გათამაშებაში.

● **პარაზა**, 2 აგვისტო. გუშინ პოლონეთის დედაქალაქში დამთავრდა მეგობრული არმიების წარმომადგენელთა ასპარეზობა თამბუქოვზე ხუტოიში. ყველაზე

უკეთ გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი პ. გორლოვო, რომელმაც 5.201 ქულა დააგროვა.

● **ობსკ**, 2 აგვისტო. აქ გამოცხადდა კანადის ჰოვისტთა ნაკრები გუნდის კანდიდატთა სია, რომელიც შინ შესვლება საბჭოთა სპორტსმენებს. გუნდში შევიდნენ ამ ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეები — ჩივერსი, პრატიონი, სტეპლტონი, სმილტონი, შშირი, სელუდი, ლი, ტრამბლზი, მ. ჰოუ, სმიტი, ჩიპერფილდი, მაკენზი, ჰოულზი, დილნი და სხვები.

● **პისლოვოდსკი**, 2 აგვისტო. აქ დამთავრდა „ბურევესტიის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა თანამედროვე ხუტოიში. ყველაზე უკეთ იასპარეზეს საქართველოს სპორტსმენებმა, რომლებსაც გადაეცათ გათამაშების მთავარი პრიზი.

## თავაზი გიორგაძის წარმატება

სასიხარულო ცნობა მივიღეთ პოლონეთის ქალაქ ლიუბლინიდან: აქ მიმდინარე საერთაშორისო საქადრაკო ტურნირში, სადაც თავაზი გიორგაძისთან ერთად გამოდიოდა დიდოსტატი მ. ტალი, ჩვენმა თავაზმა მთელს დიდ წარმატებას მიაღწია და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

## პარბი სტარტი და... წაგებული მატჩი

ამ დღეებში თბილისში გამართულ ჩოგბურთულთა საქავშირთა თასის გათამაშებაში ერთმანეთს შეხვდნენ ერევნისა და თბილისის „ბურევესტიის“ გუნდები. საერთო ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს სტარტებმა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თბილისელებმა ზედმედ თრგამარჯვებას მიაღწიეს (3:1 გუნდისა

სძლია ს. ხაჩატურიანს — 3:1, ასეთივე ანგარიშით გ. აბრამიძემ დამარცხა გ. მინასიანი. მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო და თბილისელთა საბოლოო გამარჯვებაში ეტვი არავის ენარებოდა, მაგრამ ჩოგბურთი რის ჩოგბურთითა, სიტუაციებზე რომ არ შემოგვთავაზოს.

ერევნელებს სამ დარჩენილ შეხვედრაში სამივე უნდა მოეგოთ, ხოლო ერთი შეხვედრის წაგებაც მათ გამოსთხოვდათ ქვეყნის თასის გათამაშებიდან.

ჭერა იყო და გ. კარაბეტიანმა მშრალი ანგარიშით დამარცხა გ. აბრამიძე, მეტე, ასევე 0:3 დამარცხდა გ. გუნჩინი ლ. აბოვიანთან.

გ. ალგაიფილი, მ. აბოვიანი.



ტყიბულის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა საქართველოს სპორტული პირველობა მშენებლობის მრავალწლიანი კომპლექსური პროექტის პრიზი.

შეჯიბრებები ჩატარდა სპორტის სახეობაში: მოკლე მანძილზე რბენაში, მუხრეკალიბრანში შაშხანის სროლაში, ცურვაში, ყუბმაჩისა და ბურთის ტყორცვაში.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ კვათერის, ორნის, წყალტუმბის, წულეკის, ორჯონიძის, თერჯოლის, სანჯერის, ცაგერისა და ტყიბულის გუნდები. დამატებით ბრძოლის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში 3981 ქულით I ადგილი ტყიბულის ნაკრებმა მოიპოვა. მეორე იყო წყალტუმბის გუნდი (2976 ქულა), ხოლო მესამე — ორნის კოლექტივი (2108 ქულა).

ბოლო პირველობაში სახეებურების მიხედვით ჩემპიონები გახ-

## პირველობა მშენებლობის მრავალწლიანი...

დნეზი ი. მიახურაძე (ორნი), რ. კასრაველი (ტყიბული), ტ. ვამბერი (კვათერა), ი. მარაუტეანი (ტყიბული), ნ. ვაჩეჩილაძე (კვათერა), ა. დავითაშვილი (ტყიბული), თ. ფანჩელიძე (თერჯოლა).

მეხუთე საფეხურის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში ქალებს არ მიუღიათ მონაწილეობა, ხოლო ვაჟთა შორის პირველი იყო წარსულში ტყიბულის „მეშახტის“ ფეხბურთელი „კოლმეურის“ ვ. ვერი, გ. ჰოვინიძე, გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ „კომსოპოლსკია პრავდის“ საპატიო ალაში, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის, აგრეთვე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

წ. ჯორჯაძე.

სურათზე: პირველობის ჩემპიონ ტყიბულის გუნდი მწვრთნელ რ. მდივანთან (მარცხნიდან პირველი) ერთად.

## სსრ კავშირის პირველობა



## II დივა III ზმეა

- „დინამო“ (მათუბი) 22 11 9 2 31-9 31
- „ისპარა“ (სოლონესკი) 22 12 5 5 35-18 29
- „ტორპედო“ (ვლადიმირი) 22 11 7 4 30-16 29
- „დინამო“ (გორი) 22 12 4 6 45-26 28
- „დინამო“ (ვოლოგდა) 22 11 5 6 32-22 27
- „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 22 9 8 5 30-29 26
- „ბურია“ (დინამო) 22 6 12 4 32-24 24
- „ნიმბი“ (ქერცენსკი) 22 9 6 7 30-24 24
- „სპარტანი“ (ენდისხა) 22 9 6 7 25-24 24
- „მეცხაბლი“ (მხარაძე) 22 7 9 6 33-31 23
- „დინამო“ (სტავროპოლი) 22 7 7 8 26-23 21
- „კალმუხი“ (ბელაია კალტვა) 21 9 3 9 25-23 21
- „დინამო“ (კოროზაი) 21 8 3 10 26-26 19
- „დინამო“ (ბრანსკი) 22 7 5 10 25-30 19
- „დინამო“ (ხუვდილი) 22 7 4 11 23-37 18
- „ნიმბი“ (სოლონესკი) 21 7 2 12 19-28 16
- „შირბაი“ (დენინსკი) 21 6 4 11 21-35 16
- „კოლხეთი“ (ფოთი) 22 5 5 12 16-31 15
- „ლორი“ (კიროვკანი) 21 3 7 11 14-37 13
- „ვოლადი“ (ხუმგაიბი) 21 5 1 15 17-42 11

## სპორტული დივა

## ცვლილებანი კალენდარში

შეიცვალა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩის კალენდარი. მოსკოვის „დინამო“ და ცსკა 5 აგვისტოს ნაცვლად თამაშებენ 9 აგვისტოს, „სპარტაკი“ და „არარატი“ — 14 აგვისტოს ნაცვლად — 13 აგვისტოს, ხოლო მოსკოვის „დინამო“ და „პიარათი“ 15 აგვისტოს ნაცვლად — 24 აგვისტოს.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა	4 აგვისტოსთვის				
თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
22	11	9	2	31-9	31
22	12	5	5	35-18	29
22	11	7	4	30-16	29
22	12	4	6	45-26	28
22	11	5	6	32-22	27
22	9	8	5	30-29	26
22	6	12	4	32-24	24
22	9	6	7	30-24	24
22	9	6	7	25-24	24
22	7	9	6	33-31	23
22	7	7	8	26-23	21
21	9	3	9	25-23	21
21	8	3	10	26-26	19
22	7	5	10	25-30	19
22	7	4	11	23-37	18
21	7	2	12	19-28	16
21	6	4	11	21-35	16
22	5	5	12	16-31	15
21	3	7	11	14-37	13
21	5	1	15	17-42	11



## გუდიონის სახელობის პრიზი

გუმიშინ ცხენოსანთა საკავშირო ჩემპიონატში გათამაშდა ახალი პრიზი — საბჭოთა კავშირის მარშალ ს. ბუდიონის სახელობის. მემორიალში პირველი გამარჯვება მოსოველმა ი. კალატამ მოიპოვა.

როგორც ყველა გათამაშება ცხენის გაწვრთნაში, ბუდიონის მემორიალიც ორ ადგილას გაიმართა — სპარტაკის საცხენოსნო სპორტულ ბაზაზე პლანირნიაში და „ბურევესტიის“

ბაზაზე. ასე, რომ, შეჯიბრების მრავალმა მონაწილემ ერთმანეთის შედეგები არ იცოდა.

ახლა ცხენის გაწვრთნის უმაღლესი სკოლის საუკეთესო ოსტატები დანიამი გაემგზავრებინან მსოფლიო ჩემპიონატზე. გუნდში შევიდნენ მოსკოველები ე. პეტუშკოვა („ურთია“), ი. კალატა, მ. კოპეინი (ორივე — ცსკა) და ლენინგრადელი ი. კიზიშვილი („ტრუდი“).

საკავშირო ჩემპიონატი კი ვრძელდება. ცხარე ბრძოლები აქვთ სამჭიდში ახალგაზრდა ცხენებით მოსპარეზებებს. ამ სახეობაში უძლიერესი გამოვლინდება შეჯიბრების ბოლო დღეს — 4 აგვისტოს. ამავე დღეს, თონდ უფრო მოვიანებით მოსკოვის ცენტრალურ იპოდრომზე მოწყობა შეგებრება ბოლო საერთაშორისო იქნება სტიპლ-ჩეი 3600 მეტრზე.










# ს ა რ ს ე უ ლ ი რ ე მ ე კ ი ო ბ ა რ ი მ ე ნ ე ლ ი



**ბ. მორძია,**  
„ლელო“ საცხილური  
კორესპონდენტი მსოფლიოს  
X რეპორტაჟი

ნიში, მძლავრი მოტორი, რომელსაც გააჩნია უმრავლესი ენერგეტიკული წყარო — ბეკენბაუერი. გერმანელთა დაცვა საკუთარ საჯარო მოედანზე თითქმის უშეცდომოდ ყურადღებით, ზუსტად თამაშობს, მაგრამ საკმარისია შეტყვის წამოწყება, რომ ფოტოსი, ბრაიტნერი, ბეკენბაუერი ტიპური ფორვარდებია იქნენ და მათი თამაში, სწრაფი შემოსევა უმძიმეს მდგომარეობაში აგდებს მეტოქეს.

გერმანელთა ნაკრების შემადგენლობა საერთოდ, მთლიანობაში, ჩემი აზრით, უფრო ძლიერია, ვიდრე პოლანდიელებისა, უფრო თანაბარია ლიგის ფეხბურთელებთან დაკომპლექტებული. რომ შეადგინოთ მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, გერმანელს მასში მეტს შეეყვანთ, ვიდრე პოლანდიელს.

3. შიონმა თავისი გუნდი დაასახლა პატარა ქალაქ მალენტეს მსოფლიოდ, მომთრებულ ბაზაზე, რათა მოცილებინა იგი საერთო ავტოტაქსისგან, კორესპონდენტთან, გულშემატკივართა სხარისგან და დამწვინებულ, წყნარ ვითარებაში მოეზარდებინა ურთულესი ბრძოლების წინ. ფინლის შემდეგ იგი ტელევიზიით გამოვიდა და თქვა: ფეხბურთში, განსაკუთრებით ასეთ დღეებში, უნდა დასახული გქონდეს გარკვეული მიზანი და შედეგით ზუსტად იცოდე ამ მიზნისკენ მიმავალი გზები. ჩვენ სწორედ ასეთი გზებით მივდივართ მიზნისკენ და მივადრევი კიდევ მას.

როგორ შეგვიძლია სხვაგვარად გვეთანამა პოლანდიელებთან მეორე ტაიმი, როცა მოწინააღმდეგე განწირული იყო და თავზე გვაჯდა. აქ ჩვენ მიზანი იყო ანგარიშის შენარჩუნება და სხვა ამოცანის დასახვა გაუმართლებელი რისკი იქნებოდა. ბევრი მეკითხება, რას იზამდით, პოლანდიელებს რომ გავთანაბრებინათ ანგარიში. მაშინ სხვა მიზანს დავისახავდით, სხვაგვარად ვითამაშებდით, შეტევაზე გადავიდოდით, როგორც ეს პირველ ტაიმში ვაკეთებთ. ჩვენ გეგმავდებოდა ანგარიშის შენარჩუნება და სწრაფი კონტრშეტევები. პოლანდიელებს ასე ძლიერადაც რომ არ ეთანამათ მეორე ტაიმში, ჩვენ ვითავითავებდით მათებს მაინც არ მოვაცილებდით შუა მიწიდან და საკუთარ საჯარო მოედანს. მსოფლიო ჩემპიონობის სასწრაფო დადება, როცა იგი უკვე შენს ხელთაა, სისულელე იქნებოდა. მამ ჩაგვიდინა სისულელე?

მწვრთნელის სიტყვებს ბეკენბაუერმა დაუმატა: მაშინაც კი, როცა მეორე ტაიმში მიულერს, გრამოსკის, პოლანდიელების მომენტები ჰქონდათ ან კუთხურს ვაწოდებდით, ხუთი კაცი ფეხს არ ვიცვლიდით ჩვენი ნახევრიდან, ვინაიდან ეს საშიშია კრუფთან თამაშის დროს. რამდენიმეჯერ აზრად მომივიდა მიულერიც დაგვეწია უკან, როგორც ეს ადრე არავინებულ გავიკეთებია, მაგრამ მას საგანგებოდ დარაჯობდნენ, რამდენიმე პოლანდიელი მცველი შიშით ვერ ცილდებოდა თავის საჯარო მოედანს, ეს კი ჩვენ ხელს გვაძლევდა ყოველმხრივ.

მიულერი! ეს საოცარი ფეხბურთელია, გოლების გატანის ფეხიანა. იგი არ ატარებს ბურთს სხვა ცენტრფორვარდებზე, არ იტრება მცველთა

დიდ თავმჯდომარეში, დროებით არ ცდილობს თავისუფალ ადგილზე გასვლას. თავისუფალ ადგილს ის ეძებს უბურთოდ, თვით თამაშის მსვლელობაში, განუწყვეტელი მანევრების დროს, რომ გადაცემის მიღებისას ბურთის დამუშავება კი არ დაჭირდეს, არამედ მხოლოდ დარტყმა, ერთადერთი, გადამწყვეტი დარტყმა, რომლის შემდეგ გოლი რეალურად იქცევა ხოლმე. პარტნიორებმა ხუთი თითოეული იციან, რომ მიულერი დაუნდობელი მონადირეა, რომელიც საკბილოს არ გაუშვებს ხელიდან და საფარიდან ზუსტად იმ წამს გამოვარდება, როცა ეს საჭიროა. ზოგჯერ მთელი თამაშის განმავლობაში მას ერთი, ერთადერთი ნამდვილი მომენტი აქვს ხოლმე და ამ მომენტს მიულერი ხელიდან არ გაუშვებს არასდროს. ასე იყო, მაგალითად, პოლონელებთან შეხვედრაში, ასე იყო ფინალშიც. მიულერის პარტნიორებმა ეს კარგად იციან და მისი „მომსახურებისთვის“ საგანგებოდ თამაშობენ. ვინც მიულერს იტყვს 89 წუთი და 1 წუთს თვალს მოაცილებს მას, უნდა იცოდეს, რომ იმ 1 წუთში გადაწყდება ყველაფერი. შეცდომას იგი არ აპატიებს არავის.

გერმანელთა გუნდში, როგორც ზევით ვთქვით, რამდენიმე ექსტრა-კლასის ფეხბურთელია — მაიერი, ფოტოსი, შვარცენბეი, ბრაიტნერი, მიულერი, თვერტი, მაგრამ მათი მალევე საშემსრულებლო ოსტატობა, იმპროვიზაცია მხოლოდ კოლექტივის საერთო ინტერესებსა და დამატებით ბურთს. ვინც ამოვარდება საერთო გეგმიდან, აკეცება ავანტიურულ გარემოებაში, წამსვე სათადარიგო სკამზე დაჯდება. ეს კანონთა კანონია შიონის გუნდში. ამიტომ არ ათამაშებს მსოფლიო ჩემპიონატში გერმანელებმა თვით ნეკერიც კი, რომელიც ამ პერიოდში საკუთარ ფორმებში იყო. მას თვერტი ამოაბრუნა, ვინაიდან კოლექტივს თვერტის მეტი მისცა, თამაშობდა ისე, როგორც გუნდს აწყობდა.

მაგრამ არის ფერ-ის ნაკრები ერთი კაცი, ურომლისდაც ეს გუნდი ბევრს დაკარგავდა, მე ვფიქრობ — ჩემპიონობასაც. ეს კაცი ბეკენბაუერია. ძნელია განსაზღვროთ ამ შეუდარებელი ოსტატის როლი და ამპლუა გერმანელთათვის. ესაა ბურჯი, საყრდენი, გუნდის სული და გული, მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა.

ბეკენბაუერში თავმოყრილია ყველა ის უნიკალური თვისება, რომელიც თანამედროვე ტიპის „სუპერ-ვარსკვლავს“, უნივერსალურ ფეხბურთელს უნდა ჰქონდეს. იგი ყველაფერს განაგებს მინდორზე, ყოველთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ცენტრში იმყოფება და მუდამ ყველაზე სწორი, შეუცდომელი გადაწყვეტილება გამოაქვს. როცა მოწინააღმდეგე უტევს, ბეკენბაუერი მეთაურია დაევაში და მეკარე მაიერის უპირველესი მამოძრავებელი მეთაურის როლი ითვლება. როცა იგი იწყებს რეიდს და ნახევარდაცვაში შემოდის, ყველა განზე იწყებს, გზას უთმობს ატანას, ვინაიდან არავის შეუძლია შეტევის განვითარების ის სასარგებლო გარემოება მოახსოს, რომელსაც ბეკენბაუერი პოულტობს, ხოლო თუ მან მომენტი შეარჩია და კარში დაარტყა,

უპირველესი ფორვარდიც ვერ შეედრება მას სიზუსტეში. ბეკენბაუერი კოლორიტული ფიგურაა როგორც შესრულებული და როგორც ორგანიზატორი.

ბეკენბაუერი თუ კრუფი, კრუფი თუ ბეკენბაუერი? ვინ უფრო ძლიერია დღევანდელ ფეხბურთში? ეს კითხვა არ მოსცილება გასუთებს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ და გარკვეულ პასუხს, რა თქმა უნდა, ვერც კითხვის დამსმელმა მიაგნო, ვერც პასუხის გამცემმა: ერთი ბეკენბაუერს ამჯობინებენ, მეორე — კრუფს.

მჯობნის მჯობნი არ დაილევას, ხომ გავიგონათ? ან კი განა ასე ადვილია განსაზღვროთ ამ ორ ფეხბურთელში უკეთესის ვინაობა? მაგრამ ერთი ფაქტია: ფინალში, სადაც ყველაფერი წყდება, ბეკენბაუერმა უკეთესი ითამაშა. ეს უდავოა!

ამ მატჩის შემდეგ ხმა გავრცელდა, თითქოს ვიღაც ანონიმმა დარგა პოლანდიელთა სასტუმრო „კარუტ-კრემერი“ და კრუფის გადასაცემად შეატყობინა რომ იგი ოპტიკურსამიზნობის შაშხანის მიზანს კვამ იქნება ამოღებული ტრიბუნიდან და ტყვია არ აცდება თუ ისე ითამაშებს, რომ გერმანელებმა მარცხი განიცადონ. მართლა დარეკა ვინმემ „კარუტ-კრემერი“, თუ ეს ბულვარული გასუთების მონატორია, მე არ ვიცი, მაგრამ რატომაც მკონია ბეკენბაუერზე ასეთი პროვოკაცია არ იმქმედებდა. თავის საქმეს ის დამიზნებული შაშხანის კვამაც უნაკლოდ შეასრულებდა.

რატომ ითამაშა კრუფმა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, გადაწყვეტი მატჩი შედარებით დაბალ დონეზე, თანაც მს მეტე, რაც პირველ წუთზე ასეთი ზღაპრული, წარმოდგენილი გარღვევა იქნა? ვერმანელთა კარისკენ? ვინ იცის. იგი განვივილებული ჩანდა, შეტევას იწყებდა, ბურთს ბურთზე უგზავნიდა პარტნიორებს, ასისტენტობას უწევდა მათ, ესმარებოდა, გზას აძლევდა, მთავარი როლის შესრულებას კი თავს არიდებდა.

კრუფი გამოცდილი ფეხბურთელია და შეიძლება იმითმ არ ჩაერია გერმანელთა კარის შტურმის მონაწილეთა, რომ ამით იქ კიდევ უფრო მეტი შვარცენბეი და არეულობა შექმნილიყო. შემტევი ფეხბურთელები პოლანდიელებს ამ დროს არ აკლდათ. მაგრამ ხომ შეეძლო კრუფს სხვა ვინმე დაეწია უკან, იერიშებს კი თვითონ ჩადგომოდა სათავეში, საერთოთუ გაეკეთებინა ის, რაც სხვებმა ვერ შეძლეს?

როცა პირველი ტაიმი დამთავრდა და გუნდები მიდრეკილიან გადოდნენ, კრუფმა რაღაც უთხრა მსაჯს, რომელმაც უნდა ამოიღო ჯიბიდან ყვირთელი ბარათი. ასეთი ექსცესები არაა დამახასიათებელი კრუფისთვის. პირიქით, იგი მუდამ ესმარება მსაჯს, აყენარებს თავისი გუნდის წევრებს, ყოველთვის კორექტული, ნამდვილი ჟესტულმენია მინდორზე, არ აუწევს ხმას და ამავე დროს ღრმეულად უჭირავს თავი, როგორც ეს მისი რაგის ადამიანს შეეფერება. და აი, ასეთი კარუფი: ყვითელი ბარათი, როცა თამაში შეწყვეტილი იყო!

თვით კრუფი მეტე ამბობდა: არ ვიცი, რამ გააკურსა ეს ტელიორი. მე მხოლოდ ის ვუთხარი მას, ფოტოსმა ფეხები დამამტვრია, უმოწყალოდ მეტევა და დამხმარეთო (კრუფს მართლაც საშიშელი სისხლჩაქცევები ჰქონდა ფეხებზე).

ასე თუ ისე, კრუფი ის არ იყო ფინალში, რაც ადრე თავისი წვლილი მას მთლიანად არ შეუტანია პოლანდიელთა თავანწირულ ბრძოლაში, როგორც ჩრდილში იდგა.

მაგრამ როცა კრუფი სრული ძალით თამაშობს მინდორზე, ეს შეუდარებელი, დიდებული სანახაობაა. ზევით ჩვენ ვლაპარაკობდით ბეკენბაუერის ორგანიზატობაზე, პრაქტიკულად, მებრძოლ თვისებებზე. კრუფი სულ სხვაა. კრუფის თამაში — სისარულია, სიმსუბუქეა, სიამოვნება. სცადეთ მისი დაჭერა: იგი ერთთავად მოძრაობს, რაღაც ჰამპკური აღმაფრენა ახლავს თან. ეძებს ბურთს, ეძებს ახალ სვლებს, ახალ გარტყეობას, წამით არ დაუყოვნებს გადაცემას პარტნიორს და ამავე დროს შუძლია რამდენიც სურს ატაროს ბურთი. არავინ იცის, რას მოსაზრებს მი-



ს უ რ ა თ ზ ე: ასეთია თამაშის დროს ბეკენბაუერი — მშვიდი, საკუთარ ძალებში და რწმუნებული, გუნდის სული და გული. აი ახლაც, მეკარე მაიერიც აიღო ბურთი, ბეკენბაუერი კი თავისი გუნდის წევრებს ანიშნებს — ყველაფერი წესრიგშია.

სი მახვილი გონება, რა გარტყეობას მოძიების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. კრუფის გარშემო გემუდებით იქსთოვება ურთულესი კომბინაციათა ბაღი, მისთვისაა გამიზნული გადაცემები, მისგან მოდის დამხმარე ხელი. ბურთის ტარებისას იგი ნამდვილი არტისტია, თუმცა ხაზგასმით არასოდეს არ არტისტობს. იგი ნიადავით სწრაფი და თვალშეუვლებია, შეუძლია 20-30 მეტრი „საპარადო მარშით“ განხლოს, პირლიად დატოვოს მოწინააღმდეგე და ამავე მანძილზე რბილად და ზუსტად დაუსვას თავისიანს ბურთი ფეხზე. იგი ძალზე ლამაზი და სიმბათურია თამაშის მანერით, სანახაობრივად. ბეკენბაუერი, ბოლოში ასეთი შედარებისთვის, კლასის დამრთველს მაგს უფრო, კრუფი კი პირველ მისწავლეს, რომელიც თავს ამაყობს მთელი სკოლა. ბეკენბაუერი საუკეთესო დირიჟორია, კრუფი შეუდარებელი სოლისტია, მთავარი გმირი. მაგრამ, როცა გერმანელები აგებდნენ, ბეკენბაუერმა ისინა თავისი გუნდი, კრუფმა კი — ვერა, კრუფმა რიგინადა აი იცოდა იმ დღეს „გაკეთილი“ და დაისახა „კლასის დამრთველისგან“.

დასანანი კია, ძალიან დასანანი, კაპიტნის ინტელულობა ძვირად და უკვდავ პოლანდიელებს.

რა გუფოთ ახლა ამ შეკითხვას — ბეკენბაუერი ჯობია თუ კრუფი? ჩემი მონატრის საუკეთესო ფეხბურთელი ოფიციალურად არ დაუდგენიათ, თვით ყველაზე უფრო მცოდნე სპეციალისტებმაც ვერ იგისრეს პრიორიტეტი მიეგუთვნებინათ ერთი რომელიმეთვის, ამიტომ, მოდით, ჩვენც ასე გავიყოთ ორ შეურიგებელ ბანაკად: ვისაც ბეკენბაუერი უფრო მოგვწონს — ცალ მხარეს დადგეთ, კრუფის მომხრეებმა კი ბოლომდე შეინარჩუნეთ თქვენი შესვლულებანი...

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა დამსახურებულად გამიარჯვა მსოფლიო ჩემპიონატში, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ახალი თასის მფლობელი გახდა და 4 წლით მოიპოვა პლანეტის უძლიერესი გუნდის უმაღლესი ტიტული.

(დასასრული იქნება)



ს უ რ ა თ ზ ე: ფინალური მატჩის მომენტი გერ-სა და პოლანდიის გუნდებს შორის. ფოტოსისა და გრამოსკის (უკანა პლანზე, თეთრი მაია სურბში) წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ ძალზე ძნელ სიტუაციაში კრუფი არ კარგავს კონტროლს ბურთზე და აგრძელებს შეტევას, სურბბერი შადაა პარტნიორთა გაუწიოს თავისი გუნდის ლიდერს.



# ფინიში ტისკიდში

ინგლისის ქალაქ ტისკიდში დამთავრდა სატენის მთავარადგომის გუნდის მსოფლიო პირველობა.

როგორც ვიწრობოლით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სსრ კავშირის წევრებმა მოიპოვეს.

II და III ადგილებზე გვიდ უნგრეთი — ინგლისისა და აშშ — ჩემპიონობის მატჩებში გადადებული პარტიების შედეგზე იყო დამოკიდებული. ამერიკელებმა შეძლეს სამივე გადადებული პარტიის მოგება და 22,5 ქულით ვერცხლის მედლები დასაჯდნენ. III ადგილის საკითხი გუნდს არ იყო გადაწყვეტილი. ვადაშ უნგრეთი — მესამე (ინგლისი) პარტია კვლავ გადაიდო. ამ პარტიაში ასევე შეტი სვლამ გავეთქველი.

შეცახსენებთ, რომ მატჩს უნგრელები იგებენ (2:1). მათ 21,5 ქულა აქვთ; ინგლისელებს — 21.

შემდეგ ადგილებზე არიან: V — დანია, VI — გერმ. VII — ჩეხოსლოვაკია, VIII — ფინეთი, IX — პოლანდია, X — ავსტრია.

გთავაზობთ სსრ კავშირის გუნდის თითოეული წევრის შედეგს ფინალში: რ. ვაპანიანი — 10 ქულა 11-დან, ი. ბალაშოვი — 3 ქულა 7-დან, ა. ბელიავეცი — 7 ქულა 9-დან, თ. რომანიშინი — 8 ქულა 9-დან, გ. კუპრეიჩიკი — 6,5 ქულა 8-დან, ს. პალატნიკი — 7,5 ქულა 8-დან. თა-ვიანოს დაფიქრე I ადგილები დაიკა-ვეს ვაპანიანმა, რომანიშინმა და პა-ლატნიკმა.

# სპორტული აბკვირვებები

ზაფხულის ბოლო თვე ბევრ ხან-ტერესო შეჯიბრებას გვაპირდება. გა-გაცნობთ მათგან უმთავრესს ასპარე-ზობათა დროსა და ადგილს.

**აბკვირვებები ნიგოზსონმა**

4. აბკვირვებები ნიგოზსონის სა-ერთაშორისო ფედერაციის პირველობა თუნორთა შორის (გერმ.).

23—25. თუნორთა საკავშირო პირ-ველობა (მოსკოვი).

29. VIII.—1. IX. ქალთა მსოფ-ლიო ჩემპიონატი (შვეიცარია).

30. VIII.—1. IX. გუნდთა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (მოსკოვი).

25—27. საერთაშორისო შეჯიბრება ძმების ზნამუნსკების პრიზზე და იუ-ნორთა საკავშირო პირველობა (მოსკოვი).

**კავშირი**

4—10. საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).

21—25. სსრ კავშირის ჩემპიონა-ტი I კრფი. ფინალური შეჯიბრება (კიევი, კრასნოიარსკი).

**რიპაობა**

18—23. ჭაბუკთა საკავშირო პირ-ველობა (კოვოვი).

**სათხილამურო სპორტი**

17—18. ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება სელონის საკავშირო ტრამპ-ლინიდან სტამბა და სათხილამურო ტრედიში (ლენინგრადი).

**ფაშალში ხტობა**

18—25. ვერობის ჩემპიონატი (ავსტრია).

**ბადაბი**

4—25. ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპი-ონატი (ფილიპინები).

20. VIII.—2. IX. სსრ კავშირის თასი (მოსკოვი).

**ხელნახატი**

4—9. საერთაშორისო შეჯიბრება (ჩეხოსლოვაკია).

**ბოკაი**

24. ვერობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი: ცხა (სსრ კავშირი) — „ბონენსი“ (შვეიცარია). მოსკოვი.

# ახალი ჩემპიონი

ბათუმში დამთავრდა საქართველოს მოწვეულ ქალთა ჩემპიონატი. გთავა-ზობთ შედეგებს:

I. ს. გიგაშვილი — 8,5 ქულა, II. მ. მისიძე — 8, III. ნ. ამიშვილი — 8, IV. ე. ბეროშაშვილი (ყველა — თბილისი) — 7,5, V. დ. ასანიძე — 7, VI. ნ. ფაილოძე (ორივე — ფთი) — 6,5, VII. ბ. მუსტოვა (სოხუმი) — 6, VIII. დ. ბოლქვაძე (თბილისი) — 5, IX. ნ. პაპანიანი — 4,5, X. ნ. მალაგვიძე (ორივე — ბათუმი) — 2,5, XI. მ. რიქვილიძე — 2,5, XII. მ. ბედაშვილი (ორივე — თბილისი) — 0.



და ნაილი ამიშვილი — მათ მეც შევე-ერთდი. თუ რამდენად დაძაბული იყო ჩემი ბრძოლა, ეს შედეგებიდანაც ჩანს. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბეროშაშვილთან გამარჯვებას.

ახლა სერიოზულად უნდა მოვეზო-დო საკავშირო ჩემპიონატის ფინალი-სთვის, რომელიც ალმა-ათაში სექ-ტემბერში გაიმართება.

ტურნირმა საუცხოო რეკორდია გააყენა ახალგაზრდა მომწველმა — მისიძეს, ამიშვილს, ფაილოძეს, რომ-ლებმაც ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა საინტერესო გახადეს.

**5. ივანეშვილი.**

**ფელოსპორტი**

4—8. საკავშირო ჩემპიონატი გუნ-ტელებზე II და III ტურში (პო-ლინისი).

6—8. საკავშირო ჩემპიონატი ტრე-კზე სალიდერო რბოლაში (ნოვინ-ბი).

14—20. მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში (კანადა).

21—24. მსოფლიო ჩემპიონატი გზატკეცილზე რბოლაში (კანადა).

**თასისუფალი ვიდეობა**

11—30. სსრ კავშირისა და აშშ-ს თუნორთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება (მოსკოვი, მანჩესტერი, ბაქო, გრონო, ორჟონიკი, მოსკოვი).

29—31. მსოფლიო ჩემპიონატი (ბურჯეთი).

**თანამედროვე ხუთბრძოლა**

30. VIII.—4. IX. მსოფლიო ჩემ-პიონატი (მოსკოვი).

**ალატობა**

14—20. ვაჟთა გუნდების საერთა-შორისო შეჯიბრება ი. გაგარინის სსოფლის პრიზზე (ტალინი).

23. VIII.—1. IX. ვერობის ჩემ-პიონატი ქალთა გუნდებს შორის (იტალია).

**კლასიკური ვიდეობა**

8—10. რუმინეთისა და სსრ კავში-რის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (ბუჩინეთი).

**პრივი**

17—30. მსოფლიო ჩემპიონატი (კუბა).

**მშვილდოსნობა**

24—25. ვერობის ჩემპიონატი (იუგოსლავია).

**მალაქონობა**

4. სსრ კავშირის, ვერ-ის, აშშ-ს თუნორთა და იუნორთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება მრავალჭიმში (ტალინი).

4—9. იაპონიისა და რუსის-ს ნაკრები გუნდების შეჯიბრება (იაპონია).

10—11. გერ-ისა და სსრ კავში-რის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (გერ).

24. საერთაშორისო ასპარეზობა კროსში, მიძღვნილი სლოვაკიის ურო-გული აჯანყების 30 წლისთავისადმი (ჩეხოსლოვაკია).

**სასტამბო სროლა**

30. VIII.—1. IX. თუნორთა საკ-ავშირო პირველობა (ტალინი).

**საცხმენსო სპორტი**

8—9. ვერობის ჭაბუკთა პირვე-ლობა სამჭიდში (იტალია).

9—11. ვერობის ჭაბუკთა პირვე-ლობა ცხენის გაწვრთნაში (დანია).

**ტანვარკრივი**

27—31. სსრ კავშირის თასი და საკავშირო ჩემპიონატი მრავალჭიმის ცალკეულ სახეობებში (ვლენისი).

**ტავის სროლა**

4—9. ვერობის ქალთა და იუნო-რთა ჩემპიონატი (დანია).

**ფრანკური**

10—17. სსრ კავშირისა და იაპო-ნიის ქალთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება (მოსკოვი, ოდესა, წახაძორი).

12—21. ვაჟთა გუნდების საერთა-შორისო შეჯიბრება (მოსკოვი).

24—26. სსრ კავშირის თასის ფი-ნალი (სოჭი).

**ზაზი**

14—30. ასურციან შაში საკავში-რო პირველობის ნახევარფინალურ შეჯიბრებებში (ბელცი, ბრონსკი, ვი-ტებსკი).

**ბოგობა**

7—12. ვერობის ჩემპიონატი (პო-ლინისი).

**ცოვა**

19—25. ვერობის ჩემპიონატი (ავსტრია).

**ალაქონობა**

8—12. საერთაშორისო შეჯიბრება — „მალტის თასი“ (შვეიცარია).

**ფაშალში**

18—25. ვერობის ჩემპიონატი (ავსტრია).

**ფაშალშილამურო სპორტი**

11—15. სსრ კავშირის ჩემპიონატი (დნეპროპეტროვსკი).

**ფაშალშივა სპორტი**

19—24. ვერობის ჩემპიონატი ჩემ-როსნულ სახეობებში (გერ).

**რედაქტორის მოადგილე**  
**ზ. ჯაფარიძე.**

**„ლოკომოტივის“**  
**სტამბო**  
(ი. ჯავახიძის შტ. № 74)



**სსრ კავშირის**  
**ჩემპიონატი**

**„სპორტული“**  
**ფაშალში**

„დინამო“ (თბილისი) —  
„ბანირატი“ (ალმა-ათა)

**5 აბკვირვებები**  
სათადარიგო შემადგენლობაში

**6 აბკვირვებები**  
ძირითადი შემადგენლობაში

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ბილეთები წინასწარი გაყი-დვა: ამონუმენტებზე — 4 და 5 აგვისტოს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში, ოტგანაზაცებში 6 აგვისტოს, საერთო გაყიდვა — 6 აგვისტოს 10 საათიდან.



გაზეთი გამოდის ყოველდღე გაზეთ ორშაბათსა და პარასკევსა.

რედაქციის მისამართი: 380098 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპო: შტაბისთვის — თბილისი, „ლუ-ლი“.

**ტელეფონები:** რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდიური — 93-97-52, მასობრივ-ფაშალში ტერული და მისწავლა და სოფ-ლის ახალგაზრდობის განყოფი-ლება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 93-56-47, 93-97-53, ფიზკულტურის განყოფი-ლება — 93-97-71, 93-97-56, გა-ზეთის განყოფილება — 93-97-51, წარმოება განყოფილება — 93-97-54, მენეჯინგთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-53, გამოცემა — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

# მკვლევართა ალმობარი ფაშორიტი

ასეთი სენსაცია არაფე ბრიტანული, მსოფლიო სპორტის ისტორიასაც არ ახლავს. ერთ-ერთი მანუ-ფაქტურული ფირმის კონ-სულტანტმა, 54 წლის რ. პარისმა მთელი ინგლისის ჩემპიონის ტიტული სპრი-ნტი პრეფესორ ველო-სიპილისტა შირის. ამ ამბავში ბევრი რამ არის გასაკვირი, ველოზე მეტად კი ის, რომ პარისმა ფინალში დაამარცხა 25 წლით ახალგაზრდა ტ. ბული — ბრიტანეთის პრო-ფესიული ველოსპორტის ამომავალი ვარსკვლავი.

სპრინტი ასაკობრივ განსხვავებებს არ აქვს ის-ეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ველოსპორტის სხვა სახეობებში, ვინაიდან აქ ფიზიკური ნაკლებობა ბევრს კომპენსაცია ხდება სწორი ტექნიკური აზრო-

ვნების მარჯზე, რასაც სპორტმენი წლებისა და გამოცდილების წყალობით ალწევს. გაიხსენეთ შუა-ნიშნავი საბჭოთა სპრინ-ტერი, 50-იანი წლების ქემპიონი გვირი იგორ იაოლიტოვი, რომელიც უღობობად უსწორდებოდა თავისზე ახალგაზრდა და ფიზიკურად ძლიერ მეტო-ქეებს. მაგრამ არც მანამ-დე და არც მას შემდეგ ასეთი დიდი სხვაობა ასა-კვი მოახარუვია შირის არ ყოფილა შემჩნეული.

სწორედ ამიტომ, ინგ-ლისური ველოსპორტის ვეტერანის ამასწინანდელი გამარჯვება სპორტული სა-მყაროს ერთ-ერთ მთავარ სენსაციად მიიჩნეეს.

რეჯ პარისის სახელი ხაოვრად პოპულარული იყო 40-იანი წლების მი-წურულში და 50-იანის

დასაწყისში. ამ პერიოდ-ში იგი ხუთჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი პრე-ფესიული ველოსპორტის შირის. ბოლო ოქროს მე-დალი მან 1957 წელს მოილო, 37 წლის ასაკში. ჯერ კიდევ მაშინ პარისის გამარჯვება სასწაულად მიაჩნდათ, ახლა კი, 17 წლის შემდეგ, ვეტერანის ახალი წარბაქმა მართ-ლაც დაუჯერებელ ამბად გმირებება.

პარისმა მანამ დაუმარ-ცხებლად დატოვა სპრი-ნტი. მაგრამ ჭარბი სპო-რტიული აქტივობიდან მშვიდ ცხოვრებაზე გადა-სვლამ სპორტმენის ორ-განხმზე უარყოფითი გა-ვლენა მოახდინა. 1962 წელს პარისის სერიოზული შეტყვები დაეწყო გულ-მკერდის არემი. აი სწორედ ჯანმრთელობის შევეთრმა

გაუარესებამ გადაადგმევა-ნა მას ახირებული ნამაჯი: პარისმა მოიქმნა უკვე გა-დადებული ველოსპორტი და ინტენსიური წვრთნა დაიწყო (კვირაში 200-250 კილომეტრს დარავდა).

ქვიშებმა სპეციალური დიეტა შეადგინეს „მკვდრე-თით აღმდგარი“ სპორტს-მენისთვის. ეს დიეტა მოლოახად გამოიჩნადა პურსა და კარაქს. სანა-გიეორდ, პარისს ყველის, ხორცის, თევზისა და კვე-რცის შეუზღუდავად ჭა-მის უფლება მისცეს. მის რეკომენდი მთავარი ადვი-ლი ევათ მისტრეულს მი-ულსა და, ასე გასწრეთ, ერთ ბოთლ ღვინოსაც.

ორი თვის წინ პარისმა შეაყრი საეკიმო კონტ-როლი გაიარა. სპეციალის-ტებმა აღნიშნეს მისი ორ-